

## პრაქტიკული მითითება №8

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

### ეროვნული უშიშროების პოლიტიკის შემუშავება და გენდერი

#### შინაარსი

*რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი ეროვნული უშიშროების პოლიტიკებისთვის?*

*როგორ შეიძლება გენდერის ეროვნული უშიშროების პოლიტიკებში ინტეგრაცია?*

*კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები*

*გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები ეროვნული უშიშროების პოლიტიკების შეფასებისთვის*

*დამატებითი ინფორმაცია*

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა

საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი ეროვნული უშიშროების რეფორმაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს“ ეფუძნება და ორივე მათგანი **გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს** ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია*.

## **რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი ეროვნული უშიშროების პოლიტიკისათვის?**

**ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა** მთავრობის მიერ უსაფრთხოების მიმართ არსებულ მიდგომასა და უსაფრთხოების მიღწევის მოლოდინს ასახავს. იგი ფართო ეროვნულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას მოიცავს, რომლებიც, შესაძლოა გეგმის, ხედვის, სტრატეგიის, კონცეფციისა თუ დოქტრინის, ასევე დაწესებულებისათვის სპეციფიური პოლიტიკის სახელით იყოს ცნობილი. ასეთია, მაგალითად, თავდაცვის თეთრი დოკუმენტი (white paper on defence).

**გენდერი** ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი“ შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი“ *ბიოლოგიურ* განსხვავებას აღნიშნავს მდებარეობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში გენდერული საკითხების ჩართვა ამ პოლიტიკის შესაბამისობასა და მდგრადობას აძლიერებს:

**პოლიტიკის მონაწილეობითი გზით შექმნის შედეგად ადგილობრივ დონეზე საკუთრების შეგრძნების ჩამოყალიბება**

- უსაფრთხოების საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ ფართომასშტაბიანი კონსულტაციები, რომელიც სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საკუთრების შეგრძნებისა და საზოგადოების ლეგიტიმურობისა გაძლიერება და უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული კონსენსუსის მიღწევას მოიცავს. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია იმ სხვადასხვა პერსპექტივების გათვალისწინება, რომელსაც ქალთა და მამაკაცთა სხვადასხვა ორგანიზაციები გვთავაზობენ.

**გააზრებული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის საკითხებს აგვარებს**

- უსაფრთხოებასა და სამართლიანობასთან დაკავშირებული იმ საჭიროებების გათვალისწინება, რომელიც გააჩნიათ ქალებს, მამაკაცებს, გოგონებსა და ვაჟებს, უფრო გააზრებული და ეფექტური უსაფრთხოების პოლიტიკის წინაპირობაა.
- ეროვნულ უსაფრთხოების პოლიტიკაში გენდერული საკითხების გათვალისწინება აჩვენებს, თუ რამდენად საჭიროა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ისეთი შიდა პრობლემების მოგვარება, როგორცაა გენდერული ძალადობა.

**დისკრიმინაციის თავიდან აცილება უსაფრთხოების პოლიტიკასა და უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში**

- უსაფრთხოების სფეროში მომუშავე თანამშრომლების დისკრიმინაციის შემცირება ხელს უწყობს ნდობის გაძლიერებას, ლეგიტიმურობის ზრდას და უსაფრთხოებისა და სამართლიანობის მიღწევის პროცესს აუმჯობესებს. უსაფრთხოების პოლიტიკის მეშვეობით შესაძლოა დამცავი მექანიზმების ჩამოყალიბება უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით.

**შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან**

გენდერული საკითხების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინტეგრაცია საერთაშორისო და რეგიონულ კანონმდებლობას, ინსტრუმენტებსა და ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოებისა და გენდერის შესახებ. ძირითადი ინსტრუმენტებია:

- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979)
- გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ (2000)

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

## ჩანართი 1

### გენდერული საკითხები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ეროვნულ უსაფრთხოების პოლიტიკაში

- უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში მონაწილეობის მისაღებად ქალებისა და მამაკაცების თანაბარი უფლება.
- გენდერული ძალადობა, როგორც შიდა საფრთხე უსაფრთხოებისთვის
- უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში ან უსაფრთხოებისა და სამართლის მომსახურების მიწოდების პროცესში დისკრიმინაციისა და სხვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დარღვევების აღმოფხვრა.
- მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო სექტორის, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობას უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ზედამხედველობაში, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესსა და უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში.

### როგორ შეიძლება გენდერული საკითხების ინტეგრირება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში?

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და გადასინჯვა არაერთი დაინტერესებული მხარის, მათ შორის ეროვნული მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივი მთავრობისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობას საჭიროებს. ამ დაინტერესებულ მხარეთაგან ყველას შეუძლია გარკვეული საქმიანობის განხორციელება გენდერული საკითხების უსაფრთხოების პოლიტიკაში ინტეგრაციის მიზნით:

#### ეროვნული მთავრობა

(მოიცავს უსაფრთხოების საკოორდინაციო დაწესებულებებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნაზე მომუშავე კომიტეტებს)

- მაღალი რანგის თანამშრომლების შესაძლებლობებისა და დაინტერესების განვითარება უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესში გენდერული საკითხების ჩასართავად ტრენინგების, ბრიფინგებისა და გენდერული ანგარიშების, ასევე მენტორული პროგრამების მეშვეობით.
- ქალთა მონაწილეობის გაზრდა უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში:
  - ქალების ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და უსაფრთხოების პოლიტიკის შემქმნელ კომიტეტებში ჩართვით.
  - უსაფრთხოების ორგანოებში სამინისტროს, სხვა სამთავრობო სტრუქტურისა თუ პარლამენტის ისეთი წარმომადგენლის ჩართვა, რომელიც პასუხისმგებელია გენდერულ და ქალებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან კონსულტაციის მექანიზმის ჩამოყალიბება უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე.
- გენდერული საკითხების განსაკუთრებულად ჩართვა უსაფრთხოების პოლიტიკაში (იხ. ჩანართი 1).
- გენდერისადმი სენსიტიური ენის გამოყენება დისკრიმინაციისა და გარიყვის თავიდან ასაცილებლად. მაგ. უნდა იქნას გამოყენებული „პოლიციის თანამშრომელი“ „პოლიციელის“ ნაცვლად.

**მაგალითი 1**

**იამაიკის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა – ინკლუზიური პროცესი<sup>1</sup>**

2007 წელს იამაიკის მთავრობამ დაამტკიცა ამომწურავი ეროვნული უშიშროების პოლიტიკა, „*უსაფრთხო და წარმატებული ქვეყნისაკენ*“. ეს პოლიტიკა 2006 წლის იანვარში პარლამენტის მიერ მიღებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მწვანე დოკუმენტსა და შემდგომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის თეთრ დოკუმენტს ეფუძნებოდა. თავდაპირველად, იამაიკის მთავრობა დამცავი განხილვის მოწყობას აპირებდა. თუმცა, მალე გამოირკვა, რომ უფრო ფართო მიდგომა იყო საჭირო ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი ისეთი პოტენციური საფრთხის წინაშე საბრძოლველად, როგორცაა ორგანიზებული დანაშაული, ჯგუფური ძალადობა, სოციალ-ეკონომიკური საკითხები და ბუნებრივი კატაკლიზმები. დაიწყო ფართომასშტაბიანი კონსულტაციები, რომელიც მთავრობის ყველა შესაბამის შტოს, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის ქალთა ჯგუფებსაც მოიცავდა.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, „ძალადობის ზეგავლენა საზოგადოებაზე“ ცალკეულ პირებზე, სხვასასხვა თემებსა თუ მთლიანად საზოგადოებაზე ძალადობის ზეგავლენაზე მიმართავს ყურადღებას. დოკუმენტში ნათქვამია: „ოჯახური ძალადობა საზოგადოებაში ყველაზე მეტად გავრცელებული და მძიმე დანაშაულია. ის ხელს უწყობს კრიმინალური მდგომარეობისა და ძალადობის განვითარებას საზოგადოებრივ წყობაზე მისი მავნე ზეგავლენისა და ახალგაზრდების ძალადობისადმი, როგორც გაუგებრობების გადაჭრისადმი მიდრეკილების ჩამოყალიბების გამო. ქალები და ბავშვები განსაკუთრებით იმყოფებიან ოჯახური ძალადობის რისკის ქვეშ“.

<sup>1</sup> იამაიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია: *უსაფრთხო და წარმატებული ერისაკენ*, მწვანე დოკუმენტი, გადასინჯულია 2006 წლის მაისში; და ს. სტოუნი და სხვები, *უსაფრთხოების, სამართლისა და განვითარების ხელშეწყობა: გაკვეთილები ახალი ხანისათვის*, 2005

## **პარლამენტი**

- უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესის ინკლუზიურობა და მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა:
  - ფართომასშტაბიანი სამოქალაქო საკონსულტაციო პროცესების განხორციელებით (იხ. ჩანართი 2).
  - საპარლამენტო მოსმენების, ღია დებატებისა და საქალაქო შეხვედრების გამართვით, რაც უსაფრთხოების საკითხების შესახებ მამაკაცებისა და ქალების მოსაზრების მიღებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სამუშაო ვერსიის განხილვის საშუალებას ქმნის.
  - ცალკე შეხვედრების გამართვას საზოგადოებაში არსებული ისეთი ჯგუფებისათვის, რომელიც ვერ ან არ საუბრობს სხვისი თანდასწრებით, მაგ. ეთნიკური უმცირესობები.
- მდედრობითი და მამრობითი სქესის პარლამენტარების თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკის შექმნის პროცესში:
  - მდედრობითი სქესის პარლამენტარების თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტებში მონაწილეობის ხელშეწყობით.
  - გენდერული საკითხებით დაინტერესებული მდედრობითი სქესის პარლამენტარების წახალისებით შეხვდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს და ერთიანი პლატფორმა ჩამოაყალიბონ გენდერული და უსაფრთხოების საკითხების შესახებ.
  - პარლამენტსა და სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში ქალთა ორგანიზაციების/კოალიციების ხელშეწყობით (იხ. მაგალითი 2).

## **ადგილობრივი მთავრობა**

- ქალების, გენდერული ექსპერტებისა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართვა სათემო უსაფრთხოების კომიტეტებსა და სათემო უსაფრთხოების აუდიტებში.
- ქალების, მამაკაცების, ვაჟებისა და გოგონების სხვადასხვა უსაფრთხოებისა და სამართლიანობის განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება ადგილობრივი დანაშაულის თავიდან აცილებისა და რეაგირების ინიციატივების დროს, ასევე გენდერული ძალადობის თვალსაზრისით.
- უსაფრთხოების აუდიტისა და დაგეგმვის პროცესის შედეგების გაცნობა რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების ორგანოებისათვის, რათა მამაკაცებისა და ქალების ადგილობრივი უსაფრთხოების რეალობა ჩართული იყოს ეროვნულ უსაფრთხოების პოლიტიკაში.

## **სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები**

- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში ჩართვის მიზნით გენდერული საკითხების ადვოკაცია.
- მამაკაცების, ქალების, ვაჟებისა და გოგონების, განსაკუთრებით კი მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლების მოსაზრებების წარმოდგენა უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესში.

- გენდერული და უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ ტექნიკური ცოდნის გადაცემა და ტრენინგის გამართვა უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნაზე მომუშავე პირებისა და პარლამენტის წევრებისთვის.
- გენდერული საკითხების მონიტორინგი უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების პროცესში.
- უსაფრთხოების პოლიტიკისა და უსაფრთხოების სექტორის ორგანოების გენდერული აუდიტისა და შეფასების გამართვა.

**ჩანართი 2:**

**ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული კონსულტაციები უნდა მოიცავდეს:**

- სოფლებსა თუ ქალაქებში არსებულ ქალთა სათემო ორგანიზაციებს
- მშრომელთა უფლებების დაცვის გაერთიანებებს
- რელიგიურ ორგანიზაციებს
- სათემო ლიდერებსა და აქტივისტებს
- ახალგაზრდულ ორგანიზაციებს
- ადგილობრივი, ეთნიკური და სხვა უმცირესობების ასოციაციებს
- სოციალურ თანასწორობაზე მომუშავე ორგანიზაციებს
- მიგრანტების ასოციაციებს
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს
- ბავშვთა საკითხების ადვოკაციაზე მომუშავე ჯგუფებს
- მეცნიერებსა და მკვლევრებს
- საერთაშორისო ორგანიზაციებს

**გენდერული ტრენინგი** მნიშვნელოვანი საშუალებაა გენდერულად გამართული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და განვითარებისათვის. გენდერული ტრენინგის ძირითადი სამიზნე ჯგუფებია:

- უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნაზე მომუშავე სამინისტროების პერსონალი, მათ შორის თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლები.
- უსაფრთხოების საკოორდინაციო ორგანოებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნაზე მომუშავე კომიტეტების წევრები.
- თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების წევრი პარლამენტარები და მათი თანამშრომლები.
- ადგილობრივი სამოქალაქო უსაფრთხოების საბჭოებისა თუ სათემო პოლიციის წევრები.
- უსაფრთხოების პოლიტიკაზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

უსაფრთხოების პოლიტიკის გენდერული მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მამაკაცების, ქალების, გოგონებისა და ვაჟების საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. ამისათვის სასარგებლო სტრატეგიებია:

- არსებული გენდერული როლებისა და ურთიერთობების სოციალ-ეკონომიკური ანალიზი, რომელიც მოიცავს განსხვავებას საქმიანობებში, რესურსების ხელმისაწვდომობასა და გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე ქალებისა და მამაკაცების წინაშე მდგარ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა წინააღმდეგობებს.
- უსაფრთხოების პოლიტიკის გენდერული ზეგავლენის შეფასება ამ პოლიტიკის ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟების მიმართ პოტენციური ან არსებული ზეგავლენის გამოსავლენად.
- ბიუჯეტის ანალიზი, რათა გამოვლინდეს, თუ რამდენად თანასწორი და შესაბამისი დაფინანსებაა გამოყოფილი ქალების, მამაკაცების, გოგონებისა თუ ვაჟების უსაფრთხოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

**ასევე მოცემულია მე-8 ინსტრუმენტში...**

- გენდერულად სენსიტიური ენის მაგალითი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში
- სათემო უსაფრთხოების აუდიტის ხუთსაფეხურიანი პროცესი
- ქმედება, რომლის განხორციელებაც სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ გენდერული საკითხების მიმართ ყურადღებიანი უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესის დასახმარებლად
- კითხვები უსაფრთხოების პოლიტიკის გენდერული ზეგავლენის შესაფასებლად
- კითხვები ბიუჯეტის გენდერული ანალიზისათვის
- კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, გარდამავლობისა და განვითარების პერიოდში მყოფი და განვითარებული ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკაში გენდერული საკითხების ჩართვასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები

**გამოწვევები და შესაძლებლობები კონფლიქტის შემდგომ პერიოდში**

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კონფლიქტის შემდგომ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის და უსაფრთხოების პოლიტიკა ამ პროცესის მნიშვნელოვან ბაზას ქმნის. უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესი შესაძლოა სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული როლებისა და ვალდებულებების ხელახალი გადასინჯვის საფუძველი გახდეს.



## გენდერული საკითხების ინტეგრაციის გამოწვევები

- სახელმწიფო სტრუქტურები და ინფრასტრუქტურა შესაძლოა სუსტი იყოს და ამგვარად, ფართომასშტაბიანი საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა არ გააჩნდეს. ეს, თავის მხრივ, ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და გენდერული საკითხების ჩართულობას ზღუდავს.
- პოლიტიკის შექმნის პროცესში სახალხო ჩართულობისათვის ბარიერს შესაძლოა განათლების დაბალი დონე და ტექნიკური უნარების არარსებობა წარმოადგენს, რაც განსაკუთრებულ ზეგავლენას ქალებსა და ზოგ ეთნიკურ ჯგუფებზე ახდენს.
- აღმასრულებელი და უსაფრთხოების ორგანოები სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლოა პოლიტიკურ ოპონენტებად მიიჩნევენ და, შესაბამისად, შესაძლოა არ ჰქონდეთ სურვილი იმუშაონ ქალთა ორგანიზაციებთან.

### მაგალითი 2. გენდერული საკითხების ჩართვა უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესში: ქალების როლი სამხრეთ აფრიკის აფრიკულ ეროვნულ საბჭოში (ANC)<sup>2</sup>

სამხრეთ აფრიკის დემოკრატიისაკენ გადასვლა აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოს, პოლიტიკური პარტიის შიგნით ქალთა ლიგის ჩამოყალიბებასა და გენდერული საკითხების პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით ადვოკაციას ზეგავლენა მოახდინოს ეროვნულ უსაფრთხოების პოლიტიკაზე.

პოლიტიკური პლატფორმა ქალთა საკითხების მოგვარების მიზნით სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებში მოღვაწე ქალების მიერ შეიქმნა. ქალთა მარჯინალიზაციის პრობლემით დაინტერესებიდან გამომდინარე აფრიკის ეროვნული საბჭოს ქალთა ლიგა 1990 წელს იქნა რეფორმირებული. ის დაუინებით ითხოვდა ქალების ჩართულობას მოწინავე პოზიციებზე და აფრიკის ეროვნული საბჭოს პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრაციას. ადვოკაციის შედეგები ნათლად ჩანს აფრიკის ეროვნული საბჭოს 1992 ძირითად პუბლიკაციაში *მმართველობისთვის მზადყოფნა: პოლიტიკის მითითებები დემოკრატიული სამხრეთ აფრიკისათვის*, რომელიც აღიარებდა, რომ „გენდერული დისკრიმინაციის გამო ქალები ან არ ღებულობდნენ მონაწილეობას ყველა სოციალ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, ან მათი მონაწილეობა მხოლოდ დაქვემდებარებული პოზიციებით შემოიფარგლებოდა“.<sup>3</sup> დოკუმენტი ოთხ

<sup>2</sup> ს.ნ. ანდერლინი და ს.პ. კონავეი, *გარდამავლობა დემოკრატიაში და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება: სამხრეთ აფრიკელი ქალების მნიშვნელოვანი წვლილი*, (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: ქალები მშვიდობისათვის), 2004

<sup>3</sup> აფრიკული ეროვნული კონგრესი, *მმართველობისთვის მზადყოფნა*, აფრიკის ეროვნული კონგრესის პოლიტიკის მითითებები სამხრეთ აფრიკისათვის, მიღებული ეროვნულ კონფერენციაზე 1992 წლის 28-31 მაისს. <http://www.anc.org.za/ancdocs/history/readyto.html>

ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებას გვთავაზობს: დემოკრატია და სამოქალაქო ხელისუფლება, ადამიანის უსაფრთხოება, ანტიმილიტარიზმი და გენდერული თანასწორობა. ის ამბობს, რომ უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებები პატივს უნდა სცემდნენ დემოკრატიას, ანტირასიზმს და ანტი-სქესიზმს, ასევე სამხრეთ აფრიკული საზოგადოების ეროვნულ და გენდერულ კომპოზიციას ასახავდეს.

### ჩანართი 3

**ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართვა უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესში**

- ქალთა ჯგუფებსა და ადგილობრივი უსაფრთხოების შემქმნელ ორგანოებს ურთიერთობის ხელშეწყობა, მაგ. მათი ადგილობრივ უსაფრთხოების კომიტეტებში ჩართვის გზით.
- ქალთა ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების ირგვლივ, მათ შორის სექტორის ზედამხედველობის კუთხით.
- ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლების, როგორც გენდერული ექსპერტების ჩართვა საპარლამენტო მოსმენებში.

### გენდერული საკითხების ინტეგრაციის შესაძლებლობები

- სამშვიდობო შეთანხმებების ფარგლებში შესაძლებელია გენდერული საკითხების მომცველი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების პირობის გათვალისწინება.
- უსაფრთხოებისა და მორიგების შესახებ მონაწილეობრივი ეროვნული დიალოგის მეშვეობით შესაძლებელია ქალებისა და მამაკაცებისათვის ეროვნული უსაფრთხოების საჭიროებებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბების კუთხით მოსაზრებების გამოთქმის საშუალების შექმნა.
- ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებიც მშვიდობის დამყარებაზე მუშაობდნენ და კონფლიქტის განმავლობაში თემის უსაფრთხოებას უწყობდნენ ხელს, მნიშვნელოვანი გამოცდილების გადაცემა შეუძლიათ პოლიტიკის შექმნაზე მომუშავე ადამიანებისთვის.
- კონსტიტუციური და საარჩევნო რეფორმა, რომელიც ქალთა პროპორციას ზრდის პარლამენტში, უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ქალებს თანამდებობები დაიკაონ უსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.
- კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მზარდი გენდერული ძალადობის გამო შესაძლოა უფრო მეტად წამოიწიოს წინ ისეთი უსაფრთხოების პოლიტიკის არსებობა, რომელიც გენდერული ძალადობის პრევენციას, როგორც უსაფრთხოების პრიორიტეტს ითვალისწინებს.

- დონორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ გენდერული საკითხების გათვალისწინებით უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესის მხარდაჭერა.

**კითხვები ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესისთვის**

ძირითადი კითხვები, რომელიც უნდა დაისვას ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის პროცესში გენდერული საკითხების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად არის:

- არის თუ არა ყურადღება გამახვილებული ეროვნულ თუ ადამიანის უსაფრთხოებაზე? არის თუ არა ჩართული შიდა უსაფრთხოების საფრთხეები და ყოველდღიური საფრთხე ადამიანის უსაფრთხოების მიმართ?
- მოხდა თუ არა პოლიტიკის ჩამოყალიბება მონაწილეობის პრინციპის დაცვით, რომელიც ასევე მოიცავდა ქალთა ჯგუფებსა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებს, ქალთა საკითხებზე მომუშავე სამინისტროს წარმომადგენლებს, მდებრობითი სქესის პარლამენტარებსა და გენდერულ ექსპერტებს?
- როგორ აგვარებს ეს პოლიტიკა ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟების კონკრეტულ უსაფრთხოების საჭიროებებს?
- როგორ აგვარებს ეს პოლიტიკა გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს?
- როგორ უსვამს ხაზს ეს პოლიტიკა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ქალებისა და მამაკაცების დისკრიმინაციის დაუშვებლობას და თანაბარ მონაწილეობას?
- არის თუ არა პოლიტიკა ფორმულირებული გენდერულად შესაბამისი ენის გამოყენებით?
- შეესაბამება თუ არა ეს პოლიტიკა საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ კანონმდებლობასა და გენდერული საკითხების შესახებ არსებულ პოლიტიკას?
- მოხდება თუ არა პოლიტიკის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება გენდერული საკითხების გათვალისწინებით?

**დამატებითი ინფორმაცია**

სუზანა ბეარნე, ოლგა ოლიკერი, კევინ ა. ო'ბრაიენი და ენდრიუ რატმელი – *ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურები და უსაფრთხოების სისტემის რეფორმა*, RAND კორპორაცია, 2005წ.

**DCAF - DCAF Backgrounder: ეროვნული უშიშროების პოლიტიკა**, 2005წ.

ინიციატივა ინკლუზიური უსაფრთხოების და საერთაშორისო შეტყობინებისთვის – *ინკლუზიური უსაფრთხოება, მდგრადი მშვიდობა: სახელმძღვანელო ადვოკატირებისა და ქმედებისთვის*, 2004 წ.

OECD - OECD DAC უსაფრთხოების სისტემის რეფორმის სახელმძღვანელო: უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდაჭერა, 2007წ.

კრისტინ ვალასეკი და კაიტლინ ნელსონი – თანასწორობის უზრუნველყოფა, მშვიდობის გენდერიზაცია: მითითება პოლიტიკისა და დაგეგმვისთვის ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებზე (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325), UN-INSTRAW, 2006.

### გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

[www.dcaf.ch](http://www.dcaf.ch) [www.un-instraw.org](http://www.un-instraw.org) და [www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr).

აღნიშნული პრაქტიკული მითითების ავტორია მუგიჰო ტაკეშიტა (DCAF), ინსტრუმენტ 8-ზე დაყრდნობით, რაც გამოიცა პიტერ ალტრეჰტისა და კაკრენ ბეიმზის ავტორობით (International Alert).